# გაუმარჯოს ძლევამოსილ ოქტომბრის 20 წლისთავს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტური განათლება

სსსრ განათლების სახალხო კომისარიატის, თბილისის განათლების განყოფილების, დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის და უმაღლესი სკოლებისა და სკოლამდელთა აღზრდის მუშაკთა კავშირების ცენტრალურ გამგეობათა ორგანო

7 ნოემბერი, 1937 წ. № 104 (404). ფასი 10 კაპ.

„ლენინის დროშით გავიმარჯვეთ ჩვენ ოქტომბრის რევოლუციისათვის ბრძოლაში, ლენინის დროშით მივაღწიეთ ჩვენ გადამწყვეტ წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, ამ დროშითვე გავიმარჯვებთ მთელ მსოფლიოს პროლეტარულ რევოლუციაში. გაუმარჯოს ლენინიზმს“.

ი. სტალინი




## დიად გამარჯვებათა 20 წლისთავი

**დიდი** სოციალისტური რევოლუციის 20 წლის თავს საბჭოთა ქვეყნის მშრომელები მსოფლიოს მშრომელებთან ერთად უდიდესი აღტაცებით და სიყვარულით ხვდებიან. ოქტომბრის რევოლუციით იწყება ახალი ერა: პირველად კაცობრიობის ისტორიაში მუშათა კლასი გადაიქცა გაბატონებულ კლასად, რომელმაც ძირფესვიანად დაამსხვრია მეფის სახელმწიფოებრივი მანქანა და შექმნა სოციალისტური საბჭოთა სახელმწიფო.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბრწყინვალე გამარჯვება უზრუნველჰყო ბრძოლებში გაკაჟებულ ბოლშევიკთა პარტიამ რევოლუციის უდიდესი გენიოსების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით. ბოლშევიკური პარტიის, მისი საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის რევოლუციურ ბრძოლასთან არის დაკავშირებული ის უდიდესი მიღწევები, რომლებიც მოიპოვეს საბჭოთა კავშირის მშრომელებმა დიადი ოქტომბრის 20 წლის თავზე.

ოქტომბერმა მიანიჭა საბჭოთა მოქალაქეს შრომის, დასვენების, განათლების უფლება, რაც აღბეჭდილია სტალინურ კონსტიტუციაში.

განათლების უფლება, განხორციელებული ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, სოციალიზმის ყველა მტერთან ბრძოლაში, მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებათა შედეგია.

ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლის თავისათვის სსრკ-ის დაწყებითსა და საშუალო სკოლებში სწავლობს 30 მილიონი ბავშვი, 1914 წ. კი ძველს რუსეთში სწავლობდა მხოლოდ 8 მილიონი.

მეფის რუსეთში იყო 91 უმაღლესი სასწავლებელი, ახლა სსრკ-ში არის 700 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც სწავლობს 500.000 მეტი ახალგაზრდა — მუშების, კოლმეურნეების და საბჭოთა ინტელიგენციის შვილები. აყვავდა კულტურა მოკავშირე რესპუბლიკებში. რევოლუციამდე საქართველოს მოსახლეობის 81 პროც. წერა-კითხვის უცოდინარი იყო; ამჟამად კი წერა-კითხვის უცოდინარობა თითქმის აღმოფხვრილია.

საქართველოში 1914 წ. იყო 1503 სკოლა 138.644 მოწაფით; ახლა ჩვენ გვაქვს 4200 სკოლა 700.000 მოწაფითა და 22.899 მასწავლებლით.

რევოლუციამდე ჩვენში არ იყო არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, ახლა კი გვაქვს 20.

სწავლა - განათლების ფრონტზე მოპოვებულ უდიდეს მიღწევათა საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ უამრავი ფაქტი და ციფრი.

ოქტომბრის ოცი წლის თავს საქართველოს მასწავლებლობა ყველა მშრომელთან ერთად უსაზღვრო სიხარულით ხვდება. უდიდესი მიღწევები აქვს საბჭოთა მასწავლებლობას ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის დარგში ოქტომბრის 20 წლისთავზე.

საბჭოთა საქართველოს მასწავლებლობა კიდევ უფრო შემჭიდროვდება პარტიისა და მთავრობის ირგვლივ, კიდევ უფრო გააძლიერებს შეტევით ბოლშევიკურ სიფხიზლეს ხალხის მტრების გამომჟღავნებისა და განადგურებისათვის, კიდევ უფრო მეტი ენთუზიაზმით იბრძოლებს იმისათვის, რომ აღზარდოს სოციალისტური სამშობლოს ისეთი პატრიოტები, რომლებიც ღირსეულად იბრძოლებენ კომუნიზმისათვის.

გაუმარჯოს დიადი ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავს!

გაუმარჯოს ხალხთა საყვარელ ბელადს მშობლიურ სტალინს!

## მთელი მსოფლიოს პროლეტარებო, მშრომელებო, ხალხებო!

სრულდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცი წელი.

ოცი წლის წინათ რუსეთის მუშებმა და გლეხებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით დაამხეს კაპიტალისტებისა და მემამულეების ძალაუფლება და დაამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა, მუშათა და გლეხთა საბჭოების ძალაუფლება. ოცი წელი საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალიზმის მშენებლობისა— ეს არა მარტო სსრ კავშირის მშრომელების უდიდესი გამარჯვებაა, ეს ყველა ქვეყნის მუშების, მთელი მსოფლიოს ხალხების უდიდესი გამარჯვებაა.

სოციალისტური რევოლუციის პირველ დღიდანვე ბოროტი მტრების მთელი ურდო ეძგერა საბჭოების ქვეყანას. მეფის გენერლებმა, საერთაშორისო ინტერვენტებმა, რომლებსაც მხარს უჭერდნენ ესერები, მენშევიკები და თეთრგვარდიელთა მთელი ხროვა, გააჩაღეს ომი მის წინააღმდეგ სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან. გმირულად იცავდნენ მუშები და გლეხები თავის რევოლუციას, თავის ქვეყანას და თავის დამოუკიდებლობას. უკვდავი ლენინის ხელმძღვანელობით მისი მებრძოლი ამხანაგი და ერთგული მეგობარი სტალინი ყველა ფრონტზე აწყობდა ძლევამოსილ ბრძოლას შინაური და საერთაშორისო კონტრრევოლუციის ძალების წინააღმდეგ. წარმოუდგენელი გაჭირვებითა და მსხვერპლის გაღებით საბჭოების ქვეყნის მუშებმა და გლეხებმა, საერთაშორისო პროლეტარიატის მხარდაჭერით, გაანადგურეს თეთრგვარდიელი გენერლები და ინტერვენტები. შაშხანით ერთ ხელში, წერაქვით მეორეში ისინი შეუდგნენ სოციალისტურ მშენებლობას.

დაუცხრომელ ბრძოლაში ხალხის ყველა მტრის წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობდნენ კაპიტალიზმის აღდგენას სსრ კავშირში, ბრძოლაში მესაბოტაჟეების, მავნებლების, კულაკების, ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშებისა და გამცემლების წინააღმდეგ, ბოლშევიკების პარტია ახალ გამარჯვებებს აღწევდა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. ღატაკი, ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყნიდან საბჭოთა კავშირი სტალინის ბრძნული წინამძღოლობით გადაიქცა ინდუსტრიულ, მოწინავე ქვეყნად, რომელსაც თავისი სამრეწველო პროდუქციით პირველი ადგილი უკავია ევროპაში და მეორე ადგილი მსოფლიოში. გზაზე აღმართულ სიძნელეებსა და საფრთხეში გამოატარა დიდმა სტალინმა საბჭოების ქვეყანა და მიიყვანა მისი ხალხები **სსრ კავშირში სოციალიზმის საბოლოო და სამუდამო გამარჯვებამდე.**

და ახლა სოციალიზმი ცოცხალი, ხორცშესხმული და სისხლსავსე— თქვენს თვალწინაა, ყველა ქვეყნის მუშებო! ცოცხალი სოციალიზმი— ეს არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობა. ცოცხალი სოციალიზმი—ეს არის უმუშევრობისა და სიღატაკის ლიკვიდაცია, ეს არის მშრომელი მასების მატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტელი ზრდა, ეს არის სამუშაო დღის განუხრელი შემცირება, ყველაზე ფართო სოციალური დაზღვევა. ცოცხალი სოციალიზმი—ეს არის თვითეული მოქალაქისათვის შრომის უფლების, დასვენების უფლების, განათლების უფლების უზრუნველყოფა.

გამარჯვებული სოციალიზმის ეს ქვეყანა—დღეს თქვენს წინაშეა, მთელი მსოფლიოს ხალხნო, გაბრწყინვებული თავისი ახალი ქალაქებით და გიგანტი ქარხნებით, მიწის წიაღში აღმოჩენილი თავისი საგანძურებით, თავისი სარეკორდო მოსავლით, დამშვენებული თავისი შრომითი ენტუზიაზმის, თავისი გმირობის, თავისი შესანიშნავი სტახანოვური მოძრაობის, თავისი კულტურის, თავისი ბედნიერების ბუკობის შარავანდედით მოსილი. მიუვალი ყინულებითა და ოკეანებით იგი მსოფლიოს ამცნევს თავის გამარჯვებებს მძლავრი ავიაციის ფოლადის ფრთებით. იგი თქვენს წინაშეა დაჯავშნული უძლეველი წითელი არმიით, რომელიც დგას დიდი სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა და ხალხების მშვიდობიანობის სადარაჯოზე.

**კომინტერნის აღმასკომის მოწოდებიდან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ქვეყანა, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა, გმირების ქვეყანაა



ამხანაგი ვ. ი. ლენინი ესაუბრება ამხანაგ ი. ბ. სტალინს მუშის ბინაზე პეტროგრადში 1917 წელს

## საკოლმეურნეო წყობილებამ გაიმარჯვა

1928 წელს საქართველოში არსებობდა სულ 239 კოლმეურნეობა 3.574 კომლით. კოლმეურნეობებს ამ დროისათვის ეჭირათ სახნავ-სათესი მიწის საერთო რაოდენობის მხოლოდ 0,9 პროცენტი. კონტრრევოლუციონერი ტროცკისტები, გარეწარი მემარჯვენეები და მენშევიკები ხელს უშლიდნენ საკოლმეურნეო მშენებლობას, მაგრამ მათ ვერ შესძლეს თავიანთი მიზნის მიღწევა, ვერ დაანგრიეს კოლმეურნეობები.

1932 წელს კოლმეურნეობათა რიცხვი 3.425-მდე გაიზარდა. კოლმეურნეობებში გაერთიანდა 165.671 კომლი, ანუ სოფლის მთელი მშრომელი მოსახლეობის 36,1 პროცენტი. კოლმეურნეობათა სახნავ-სათესი მიწის საერთო ფართობმა 0.9 პროცენტიდან მიაღწია 35 პროცენტამდე. 1936 წლის ბოლოს საქართველოს კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო 371.819 კომლი, ანუ სოფლის მთელი მშრომელი მოსახლეობის 75,8 პროცენტი. ამავე რიცხვისათვის კოლმეურნეობებს ეჭირათ მთელი სახნავ-სათესი მიწის 78,7 პროცენტი.

1937 წლის 1 ივლისისათვის საქართველოში იყო სულ 4.249 კოლმეურნეობა 375.116 კომლით. ეს სოფლის მთელი მშრომელი მოსახლეობის 76,5 პროცენტს უდრის. კოლმეურნეობებს უჭირავს მთელი სახნავ-სათესი მიწის 82,8 პროცენტი.

## ბედნიერი ვარ

უდიდესი აღფრთოვანებით ვეგებები დიადი ოქტომბრის 20 წლისთავს. ბედნიერი ვარ, რომ ოქტომბრის ქარიშხლიან დღეებში გავჩნდი და მასთან ერთად ვითვლი სწავლისა და შრომის შესანიშნავ წლებს.

საბჭოთა მილიონიან ახალგაზრდობასთან ერთად მეც წილად მხვდა, მესწავლა საბჭოთა სკოლაში და უმაღლეს სასწავლებელშიც.

ვარ ფრიადოსანი, და ჩემი მიზანია ღირსეულად დავაფასო ის მზრუნველობა, რომელსაც მიწევს საბჭოთა ხელისუფლება. მთელი ჩემი ახალგაზრდული ენერგიით ვიბრძოლებ, რომ ვიქნე მუდამ ფრიადოსანი სტუდენტი, მეტად დავეუფლო მეცნიერებას, გავხდე ჩვენი საყვარელი ქვეყნის კარგი სპეციალისტი. ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ დიდი სტალინის ეპოქაში და ვარ ტოლი დიადი ოქტომბრისა!

**თამარ შარვაშიძე**

ფილოლოგიური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

## ვიბრძვი ფრიადოსნობისათვის

დაბადებული ვარ 1917 წელს, როდესაც დიადმა სოციალისტურმა რევოლუციამ დედამიწის ერთ მეექვსედზე მისცა საბჭოთა კავშირის ხალხს თავისუფალი ცხოვრების საშუალება.

მე საბჭოთა კავშირის ხნისა ვარ. საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობას სწავლის ფართო გასაქანი აქვს. ასეთი დიდი გასაქანი და მზრუნველობა ახალგაზრდობისადმი მხოლოდ საბჭოების ქვეყანაშია, რომელსაც ხელმძღვანელობს ლენინ-სტალინის დიადი პარტია, ხალხთა დიდი ბელადი — ამხანაგი სტალინი.

საშუალო სასწავლებელი ფრიადზე დავამთავრე. ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. ვარ კომკავშირის წევრი. ჩემი სურვილია, რომ ყოველდღიური სწავლით და დროის მაქსიმალურად გამოყენებით მივაღწიო შემდგომ წარმატებებს და გავხდე სწავლების ფრიადოსანი.

კომკავშირის ორგანიზაციაში აქტიურად ვმუშაობ. ვიბრძვი იმისათვის, რომ კიდევ მეტად ავამაღლო ჩემი იდეოლოგიურ-პოლიტიკური მომზადების დონე. შეგნებული მაქვს, რომ სწავლების ფრიადოსანი ყოველივე საქმეში მოწინავე უნდა იყოს. ვიბრძვი იმისათვის, რომ ყოველ დარგში სანიმუშოდ ვიმუშაო.

**ისიდორე უუფარაძე**

თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკ. სტუდენტი.

## ოქტომბერმა აღმზარდა

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სხივებმა მძლავრად შემოანათეს ჩვენს ღარიბულ ოჯახში. მე ვიგრძენი ამ სხივების სითბო. მე ოქტომბერმა აღმზარდა და დამავაჟკაცა: წარმატებით დავამთავრე საშუალო სკოლა, ამჟამად ვსწავლობ კიროვის სახ. საქ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის საამშენებლო ფაკულტეტზე. ვითვლები მოწინავე სტუდენტად ინსტიტუტში.

დავიბადე სოფ. დიდი ჯიხაიში. ექვსი წლისა ვიყავი, როცა მამა მომიკვდა. დავრჩით დედის ამარა ოთხი ბავშვი; რამდენი წვალება, ვაი-ვაგლახი განიცადა დედამ შვილების აღზრდაზე, მაგრამ ბოლოს სტალინური მზრუნველობით აღფრთოვანებულმა გადალახა ყოველგვარი დაბრკოლება, აღმზარდა ისე, რომ არავითარი გაჭირვება არ გამომიცდია.

მენშევიკების დროს ჩემისთანებს სწავლას ვინ აღირსებდა. ეხლა კი მალე ინჟინერი გავხდები. განათლების უფლება, რომელიც აღბეჭდილია სტალინურ კონსტიტუციაში, კიდევ უფრო მაფრთოვანებს ახალ გამარჯვებათა მოპოებისთვის. ვიძლევი პირობას, რომ მუდამ ვიქნები ერთგული ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, თავგამოდებით დავიცავ დიადი ოქტომბრის მონაპოვართ, გავაძლიერებ შემტევ ბოლშევიკურ სიფხიზლეს, რომ დავეხმარო პარტიას ხალხის მტრების—ფაშიზმის ცოფიანი აგენტების საბოლოოდ განადგურებაში.

**იონა ნუცუბიძე**

საქ. კიროვის სახ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის სტუდენტი.

## დღეს და წინად

ოცი წლის წინად მშრომელი მასა  
ვერ იღებდა ხმას —  
დღეს კი ეს მასა ქვეყანას მართავს.  
მაგარ ფეხზე დგას!  
ოცი წლის წინად კულაკი იყო  
პატრონი გუთნის —  
დღეს კი გუთანიც, ტრაქტორიც, მიწაც  
მშრომელთ ეკუთვნის!  
ოცი წლის წინად მდიდარი იყო  
პატრონი ქარხნის —  
დღეს კი ქარხანაც, სკოლაც, ფაბრიკაც  
მშრომელთ ეკუთვნის!  
ოცი წლის წინად ბჟუტავდა ჭრაქი  
და ნავთის ლამფა —  
დღეს კი ელექტრომ სიბნელე მოსპო  
და გაგვინათა!  
ოცი წლის წინად ერთა შორის  
ღვიოდა მტრობა —  
დღეს კი მათ შორის მტკიცედ დამკვიდრდა  
თანხმობა, ძმობა!  
გამარჯვებიდან გამარჯვებამდე  
მივალთ წინ და წინ  
და ამ წინსვლაში მტკიცედ მიგვიძღვი  
შენ, დიდო სტალინ!

**იონა თოდუა**

მე-2 რკ. გზის სკოლის მასწავლებელი.



ზულოს რაიონის მოწინავე მასწავლებლები:

ლ. ჩხაკვიშვილი, (ზულოს ქალთა სკოლის დირექტორი) ელ. დონდაძე (რიყეთის სკოლის გამგე) სევ. ჯინჯოლავა (ბარათაულის სკოლის გამგე) მ. ოსიძე (დარჩიმებას სკოლის გამგე)

# კულტურული მშენებლობა

ოქტომბრის დიდი რევოლუციის 20 წლისთავს საბჭოთა საქართველო ხვდება უდიდესი წარმატებით სოციალისტური კულტურის ყველა დარგში. ამას ნათლად ადასტურებს შემდეგი ცნობები:

### მოწაფეთა რაოდენობა

1914 წელს, ცარიზმის ბატონობის შავბნელ ხანაში, ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლაში სწავლობდა 156690 მოწაფე. 1921-22 სასწავლო წელს—212662, 1936 წელს საქართველოს ყველა სკოლაში სწავლობდა 731557 მოსწავლე, ე. ი. 4,7-ჯერ მეტი 1914 წელთან და 3,4-ჯერ მეტი 1921-22 წელთან შედარებით.

1934 წელს დაწყებითსა და საშუალო სკოლებში სწავლობდა 154670 მოსწავლე, 1921-22 წელს—202289, 1936 წელს 656418, ე. ი. 4,2-ჯერ მეტი 1914 წელთან და 3,2-ჯერ მეტი 1921-22 წელთან შედარებით.

1914 წელს საშუალო სკოლებში სწავლობდა 28239 მოწაფე, 1921-22 წელს 62970, 1936 წელს—461.313. ე. ი. 16,3-ჯერ მეტი 1914 წელთან და 7,3-ჯერ მეტი 1921-22 წელთან შედარებით.

მოზრდილთა ზოგადი განათლების მაღალი ტიპის სკოლები 1914-სა და 1921 წლებში სრულებით არ იყო. 1936 წელს ასეთ სკოლებში სწავლობდა 14636 კაცი.

მეფის დროს თბილისში არსებობდა უმაღლესი სკოლის ტიპის ქალთა უმაღლესი კურსები. აქ სწავლობდა 314 კაცი. 1921-22 წელს საქ. უმაღლეს სკოლებში სწავლობდა 8789 სტუდენტი, 1936 წელს—21.022, ე. ი. 66,9-ჯერ მეტი 1914 წელთან და 2,4-ჯერ მეტი 1921 წელთან შედარებით.

### სასკოლო მშენებლობა

„თბილისში 1935-36 წლების მანძილზე აგებულია 19 სასკოლო შენობა 12.870 მოწაფისათვის. წელს კი თბილისში დაწყებულია და ახალი სასწავლო წლისათვის დამთავრდება მშენებლობა 5 სასკოლო შენობისა 4400 მოწაფისათვის.



მე-18 სკოლას წარჩინებული მასწავლებელი

ეკატერინე ბურჯანაძე

1936 წელს ქუთაისსა, ბათუმსა, სოხუმსა, სტალინირსა, ოჩამჩირესა, ზესტაფონსა, ინგურ-ქალალდმშენსა და მოლიბდენმშენში აშენებულია 10 ახალი სასკოლო შენობა 3880 ადგილით.

მიმდინარე წელსვე ქუთაისსა, გორსა, სტალინირსა, ფოთსა, ბათუმსა, სოხუმსა და გალში დაწყებულია და სასწავლო წლის დაწყებისათვის დამთავრდება მშენებლობა 7 ახალი სასკოლო შენობისა 2780 ადგილით. 1933-36 წლების განმავლობაში საქართველოში სულ აშენებულია 262 ახალი სკოლა". (ლ. ბერია).

გარდა ამისა, პედაგოგიური ტექნიკუმებისათვის აშენდა 5 შენობა, წელს შენდება 6 ახალი შენობა, აგრეთვე შენობები: გორის სამასწავლებლო, სტალინირის, ბათუმის და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტებისა.

დიდ ზრდას გვიჩვენებს აგრეთვე პოლიტგანათლების დაწესებულებათა ქსელი. 1929 წელს გვქონდა 613 კლუბი და ქოხ-სამკითხველო, 1937 წლისათვის გვაქვს 1229, მათ შორის ქალაქად 156, სოფლად 1073.

1929 წელს გვქონდა 401 მასობრივი ბიბლიოთეკა. 1937 წელს გვაქვს 1346, რომლებშიც წიგნების რაოდენობა უდრის 1,377,3 ათას ეგზემპლარს.

### სახალხო განათლების ხარჯები

1928 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტით სახალხო განათლებაზე დაიხარჯა 6.813,8 ათასი მანეთი, ადგილობრივით—13 378,2 ათასი მანეთი. 1936 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტით დაიხარჯა 112.593,5 ათასი მანეთი, ხოლო ადგილობრივით—185.721,4 ათასი მანეთი. სახალხო განათლებაზე 1928 წელს სულ დაიხარჯა 20.192 ათასი მანეთი, ხოლო 1936 წელს 298.314,9 ათასი მანეთი, ე. ი. 14,8-ჯერ მეტი. სკოლამდელ აღზრდაზე 1928 წელს დაიხარჯა 376,7 ათასი მანეთი, 1936 წელს—11671,8 ათასი მანეთი, ე. ი. 31-ჯერ მეტი. მეცნიერებაზე 1928 წელს დახარჯულია 457 ათასი მანეთი, 1936 წელს — 12194.1 ათასი, ე. ი. 26-ჯერ მეტი.

1936 წელს საქართველოს ყველა გაზეთის ერთდროულმა ტირაჟმა 906 ათას ეგზემპლარს მიაღწია. გაზეთები გამოდიოდა 10 სხვადასხვა ენაზე. 1936 წელს გამოცემული წიგნების საერთო ტირაჟი უდრის 6903 ათას ეგზემპლარს.

# სწავლა ფრიადზე მოსწავლეთა და მასწავლებელთა გმირობის საქმეა

## მრეწველობის პროდუქციის ზრდა

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, საქართველოს მთელმა მსხვილმა მრეწველობამ 1926-27 წლის ფასებში 1936 წელს მოგვცა 784,2 მილიონი მანეთის პროდუქცია. ამაში არ შედის ხე-ტყის დამზადების, რკინიგზის საუბნო სახელოსნოებისა და თევზის მრეწველობის პროდუქცია.

პროდუქცია 1925-27 წლის ფასებში (მილიონ მანეთობით)

მთელი მსხვილი მრეწველობა, საწარმოო საშუალებათა წარმოება
სამომხმარებლო საშუალებათა წარმოება

| 1923-24 | 1927-28 | 1932 | 1936 |
|---|---|---|---|
| 27,0 | 73,0 | 422,8 | 784,2 |
| 12,5 | 30,5 | 216,5 | 336,7 |
| 14,5 | 42,5 | 206,3 | 447,5 |

საქართველოს მრეწველობის პროდუქცია 1913 წელს შეადგენდა 43 მილიონ მანეთს. 1936 წელს მრეწველობის პროდუქცია 1913 წელთან შედარებით გაზრდილია 1823,9 პროცენტით, ე. ი. 18,3-ჯერ მეტად. საქართველოს მრეწველობის მთელი პროდუქცია გამოშვებულია იმ ქარხნების მიერ, რომლებიც აშენებული და მთლიანად რეკონსტრუირებულია საბჭოთა ხელისუფლების დროს.



თბილისის მე-50 სკოლის მოწაფეები უსმენენ რადიოს შესვენების დროს.

## საყვარელი ბელადის სიტყვები ღრმად აღმებეჭდა გულში

„სახალხო მასწავლებლების ფალანგა შეადგენს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა დიდი, სოციალიზმის საფუძველზე ახალი ცხოვრების მშენებელი არმიის ერთერთ ყველაზე უფრო საჭირო ნაწილს“ (სტალინი).

საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ეს სიტყვები ღრმად აღიბეჭდა ჩემს გულში. მიყვარს პედაგოგის შრომა! მთელი არსებით მწამს, რომ ეს არის ღირსების, სახელის, მამაცობისა და გმირობის საქმე. მთელს ჩემს ძალღონეს, ცოდნასა და უნარს მოვახმარ იმას, რომ მივცე საბჭოთა ბედნიერ ქვეყანას სტალინურად ნაწრთობი კადრები. ჩემი მუშაობის 9 წლის მანძილზე გულმოდგინედ ვმეცადინეობ პედაგოგიური ოსტატობის დაუფლებისათვის. 2 წელია, რაც ვსწავლობ ქუთაისის დაუსწრებელ პედინსტიტუტში და პროგრამით გათვალისწინებულ საგნებს წარმატებით ვაბარებ, გამოწერილი მაქვს პედაგოგიური პოლიტიკური და მხატვრული ჟურნალ-გაზეთები, აქტიურად ვმუშაობ პედაგოგიურ თუ სხვა წრეებში და საწარმოო თათბირებში. გულდასმით ვეცნობი და ვიყენებ საუკეთესო მასწავლებელთა გამოცდილებას. ყოველთვის ვცდილობ, შევიტანო მუშაობაში სიახლე, მრავალფეროვნება, არ გავაბატონო ტრაფარეტი. თითოეული სასწავლო საათი წინასწარ გაანგარიშებული მაქვს და გულდასმით ვემზადები ყოველი გაკვეთილისათვის, რომ რაციონალურად გამოვიყენო დრო და ეფექტიურად ჩავატარო პედაგოგიური პროცესი. არ მქონია შემთხვევა გაკვეთილის „ჩავარდნისა“. ჩემი მუშაობა ყოველთვის კარგზე და ფრიადზე იყო შეფასებული, რისთვისაც 2-ჯერ დამაჯილდოვეს. სასკოლო მუშაობას ვუთავსებ იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის ბრძოლას, კოლმეურნეობაში კულტმასობრივ მუშაობას, პარტსაბჭოთა და პროფორგანოების დავალებათა შესრულებას.

**ვ. კუნჭულია**

ლესაჭინათის სკოლის მასწავლებელი

## უსაზღვრო სიყვარულით

ბედნიერი ქვეყნის ბედნიერი მასწავლებელი ვარ. უსაზღვროდ მიხარია, რომ წილად მხვდა ჩვენი დიადი ქვეყნის სტალინური მზრუნველობით გამთბარი ახალგაზრდობის აღზრდა. უსაზღვრო სიყვარულით ვმუშაობ სკოლაში ბავშვთა კომუნისტურად აღზრდისათვის. არც ერთი წუთით არ მიგრძვნია დაღლა, პირიქით, ყოველდღიურად ახალ-ახალი ენერგიითა და გატაცებით ვმუშაობ, როგორც სკოლაში, ისე საზოგადოებაში, ვეუფლები სწავლების მეთოდებსა და პედაგოგიურ ხერხებს.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლის თავთან დაკავშირებით ვიღებ ვალდებულებას — დავამყარო სკოლაში შეგნებული დისციპლინა და მივაღწიო სწავლების მაღალ ხარისხს.

**ნადია ტულუში**

ტაბანეთის (ლანჩხუთის რ.) სკოლის მასწავლებელი

## გიმადლი სამშობლო ჩემო

რა დიდებულია ჩემი ცხოვრება!

ყოველ დილას, მზის ამოსვლას ოქროს კისკისით ვეგებები. სიხარულით აღსავსე ვარ მაშინაც, როცა ოქროს დისკო მიეფარება მთების ქიმს და ანთებული გულისყვითლები მათოვენ ახალგაზრდა მხრებზე ელექტრონის ფანტელებს.

მიხარია საწერ მაგიდასთან მიახლოვება, რადგან ზედ სქელტანიანი წიგნები ძევს და ამ წიგნებში ჩვენი დიდი ეპოქის სიბრძნეა ჩაქირული.

მიხარია მშობლების დანახვა, რადგან მათი გული აღსავსეა საამური ცხოვრებისადმი ტრფობითა და სიყვარულით.

ბედნიერი ვართ ჩვენ, სტალინური თაობა, რომ ვიგემეთ ის, რაც წინა თაობების სანეტარო ოცნებას შეადგენდა!

ერთ დროს ღარიბი გლეხის შვილი, სტახანოველი კოლმეურნის შვილი ვარ, სტუდენტი!

გიმადლი სოციალისტურო სამშობლო ჩემო!

**შალვა ჭოჭუა**

თბილისის სახ. უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტის სტუდენტი.

**სავლე აბულაძე**

## ოქტომბერი

ოქტომბერია სათავე
მზისკენ მიმავალ გზებისა,
შეშრობა ხალხთა ცრემლების,
რიჟრაჟი ნეტარებისა,
საფლავის გათხრა მტარვალთა,
დასამარება მტრებისა.

ოქტომბერია ვარსკვლავი
მსოფლიოს მომავალისა,
მშვიდობა ერთაშორისი,
ჩაქრობა ომის ალისა,
თავდები — წინამორბედი
უბრწყინვალესი ხვალისა!

ოქტომბერია დაპყრობა
ბუნების ძალთა ციხისა,
ჭაობის გავენახება,
ბაღად გაფურჩქვნა რიყისა,
ბელადის აზრის ხორცშესხმა,
მისი მაღალი სიტყვისა!

აწ საბოლოოდ მობრუნდა
ეს დედამიწა მზისაკენ...
ოქტომბერს მიჰყავს ქვეყანა
კაცობრიობის ხსნისაკენ —
წყეულიმც იყოს გულშავი,
შემყურე წარსულისაკენ!

მძლეთამძლეობა ოქტომბერს,
დიდი სიცოცხლე სტალინსა:
სხივმოკლებული ცხოვრება
მან მორთო, გაახალისა —
ჭირიმე მისი გონების,
ჭირიმე მისი ძალისა!



ლანჩხუთის რაიონის მოწინავე მასწავლებლები:

ნ. ტულუში (ტაბანეთის სკოლის გამგე) ს. გეგიძე ტაბანეთის სკოლის მასწავლებელი ო. გურიელიძე (ლანჩხუთის სკოლის მასწავლებელი) ვ. კუნჭულია (ლესის საშუალო სკოლის მასწავლებელი)

## დიადმა ოქტომბერმა აღადგინა მშობლიური ენა

ვინც მეფის რეჟიმის დროს მასწავლებლად არა ყოფილა, ის ახლა ვერც კი წარმოიდგენს, თუ რა აუტანელ პირობებში უხდებოდა მუშაობა მაშინდელ სახალხო მასწავლებელს.

ყველაფრის თქმა ამ პატარა წერილში შეუძლებელია, მაგრამ ცოტაც კი, რომელსაც ქვემოდ ვილაპარაკებ, ფარდას ხდის იმ აუტანელ პირობებს, რომელსაც სახალხო მასწავლებელი და მოზარდი თაობა განიცდიდა. მაგ. ოზურგეთის (ახლა მახარაძის) საქალაქო სკოლაში, სადაც მე 1890 წელს პირველად დავიწყე მასწავლებლობა, შემოღებული იყო შავი წიგნი — „კანდუიტი“, რომელშიც მორიგ მასწავლებელს უნდა ჩაეწერა ის მოწაფეები, რომელნიც შემჩნეული იქნებოდნენ ქართულად ლაპარაკში.

მდგომარეობა გამწვავდა უფრო მაშინ, როდესაც სკოლის ინსპექტორად დაინიშნა ვინმე მუსნიცკი. რომელიც მასწავლებლებს ინდობოდა და დასვენების დროს ხეიალობაც დადიოდა მოწაფეთა შორის, რომ დაეჭირა ქართულად მოსაუბრენი.

მახსოვს და არასდროს არ დამავიწყდება ერთი სურათი: მუსნიცკიმ შენიშნა ქართულად მოლაპარაკე მოწაფეების ერთი ჯგუფი, ამოიყვანა ბავშვები სკოლის აივანზე, ჯერ ყველანი დაახოქა, მერე დაადგა თავზე, ფეხებს უბრახუნებდა და თან გაჰკიოდა: „რუსულად ილაპარაკეთ, ნუ ლაპარაკობთ ქართულად, თქვენ საზიზღრებო“ და სხვ.

ამავე ინსპექტორს თვითეულ კლასში ქართული ენის ორი გაკვეთილი კვირაში ებევრა. ერთს სალამოს მოიწვია პედაგოგიური საბჭო და განაცხადა:

— მართალია პროგრამებით გათვალისწინებულია კვირაში ქართული ენის ორი გაკვეთილი, მაგრამ ეს შეეხება იმ საქალაქო სასწავლებლებს, რომელნიც შესდგებიან სამი კლასისაგან და თითოეულ კლასში ორი განყოფილება მეცადინეობს. ჩვენი სასწავლებელი კი დაყოფილია ექვს კლასად, ამიტომ ეს გაკვეთილები უნდა გაიყოს შუაზე და მაშასადამე თითოეულ კლასს შეხვდება თითო საათი კვირაში“.

ქართული ენის მასწავლებლის შენიშვნაზე, რომ, თუ ასეა, მაშინ ყველა საგნის გაკვეთილები უნდა შემცირდესო — ინსპექტორმა ზიზღით მიაძახა:

„სხვა საგნები სხვაა, და ქართული სხვაა!...“

ყველანი ჩაჩუმდნენ, საკითხი გადაწყდა.

სკოლის ბიბლიოთეკაში ხომ ქართული წიგნის ჭაჭანებაც არ იყო, მაგრამ ქართულის მოძულე ინსპექტორი სასტიკად უკრძალავდა მოწაფეებს კერძო ბიბლიოთეკა-სამკითხველოდანაც ქართული წიგნებით სარგებლობას...

მუსნიცკი ერთი არ იყო: საქართველოში ბლომად იყვნენ ასეთი მუსნიცკები, რომლებიც უშხამავდნენ სიცოცხლეს მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც...

როდესაც ყველა ამას ვიგონებ და ვხედავ ჩვენს ახლანდელ სკოლებს, სადაც არა მარტო ენა და ლიტერატურა, არამედ ყველა საგანი ისწავლება მოწაფეთა მშობლიურ ენაზე ყველა საფეხურისა და ტიპის სკოლებში, რომელთათვისაც შემუშავებულია სათანადო სახელმძღვანელოები — გული სიხარულით მევსება და ვმადლობ ჩემს ბედს, რომ სიბერის დროს მაინც მოვესწარი იმას, რაზედაც ახალგაზრდობისას ვოცნებობდი.

**ი. გომელაური**

შრომის გმირი—მასწავლებელი



ივანე გომელაური

# პიონერებო და პიონერო გოგონებო! საბჭოთა სკოლის მოწაფეებო! დაეუფლეთ ცოდნას, ისწავლეთ ლენინის საქმისათვის მებრძოლებად გახდომა!

(საკ. კ. პ. (ბ) საოქტომბრო ლოზუნგებიდან)

## ჩვენი სული და გულია

მეც ოქტომბერთან ერთად ვიშვი მისი პირმშო ვარ. დიდი ოქტომბერი ოცი წლისაა. უკვე ვაჟკაცია იგი, მეც ოცი წლისა ვარ და ვიზრდები დიად ოქტომბერთან ერთად. ოცი წელია, რაც ლენინ-სტალინის უძლეველი პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის პროლეტარიატმა მშრომელთა ფართო მასების აქტიური მხარდაჭერით საბოლოოდ დაამხო ძველი დამყაყებული წყობილება და დაიწყო ქვეყნის მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყნის აშენება. ამ ოცი წლის განმავლობაში ჩვენში გაკეთდა იმდენი, რამდენიც ოცი საუკუნეშიც კი არ გაუკეთებია რევოლუციამდელ რუსეთს.

საბჭოთა თითოეული ახალგაზრდის გული გამთბარია ჩვენი უძლეველი პარტიის, მშრომელთა საყვარელი ხელმძღვანელის სიყვარულით. სტალინი — ეს ჩვენი ახალგაზრდობის სული და გულია. ყოველმა ახალგაზრდამ იცის, რომ ეპოქის დიადი ქარტია—სტალინური კონსტიტუცია, რომელიც ახალგაზრდობას ანიჭებს შრომის, დასვენებისა და სწავლების დიად უფლებებს, დიდი სტალინის ხელითაა დაწერილი.

ახალგაზრდა დაბადებიდანვე გრძნობს სტალინურ მზრუნველობას. ამიტომ გვიყვარს ჩვენ ჩვენი სამშობლო, ამიტომ გვიყვარს ჩვენ ლენინ-სტალინის უძლეველი პარტია.

ამიტომ გვიყვარს ჩვენი ბელადი, სოციალისტური ქვეყნის ბრძენი ხელმძღვანელი — დიდი სტალინი და მზად ვართ, დაუნდობლად გავანადგუროთ ყველა ის ბინძური ადამიანი, რომელიც კი შეეცდება ჩვენი დიადი სამშობლოსა და მისი შემოქმედის—დიდი სტალინის წინააღმდეგ ხელის აღმართვას.

**ილ. ცინცაძე**

**თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკ. მე-2 კურსის ფრიადოსანი სტუდენტი.**



თბილისის მე-34 სრულ საშუალო სკოლის მოწინავე მასწავლებელი მარიამ უშვერიძე

## ოცი წლის თავზე

ოქტომბრის ოცი წლისთავთან დაკავშირებით თბილისის მოზ. მაყ. სახ. თეატრი დასადგმელად ამზადებს დრამატურგ ე. მილკინას პიესას „პავკა კორჩაგინს", რომელიც გადმოკეთებულია პიესად ნ. ოსტროვსკის რომან „როგორ იწრთობოდა ფოლადი"-ს პირველი ნაწილიდან.

პიესა ქართულად სთარგმნა შ. ბუაჩიძემ.

პიესას სდგამს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რესპ. დამსახურებული არტისტი, რეჟისორი ა. თაყაიშვილი, მხატვარი—კ. კვესი, მუსიკა დ. შავერზაშვილისა.

## სტალინური მზრუნველობის შედეგად

მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელი ბელადი დიდი ლენინი ამბობდა: „სახალხო მასწავლებელი უნდა იქნას აყვანილი იმ დონემდე, რა დონეზედაც ის არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს ბურჟუაზიულ სახელმწიფოში".

კომუნისტური პარტიისა და ხალხთა საყვარელი ბელადის—დიდი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, რომელსაც ყოველგვარ მტრებთან გადამწყვეტი და შეუპოვარი ბრძოლის შედეგად მიჰყავს ჩვენი ქვეყანა გამარჯვებიდან გამარჯვებამდე,—ლენინის ეს მითითებანი სახალხო მასწავლებლის შესახებ დღეს რეალიზებულია. პარტიისა და ხელისუფლების მხრივ ასეთი ზრუნვა კიდევ უფრო ზრდის თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობას მასწავლებლის საპატიო მოვალეობის წესიერად შესრულების საქმეში.

ვგრძნობ ნაკისრ მოვალეობისადმი დიდს პასუხისმგებლობას. ვცდილობ, პირველ რიგში, საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებას, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების დაუფლებას, ბოლშევიზმის დაუფლებას, რომ შევძლო შენიღბული მტრის გამოცნობა-განადგურება. ვასწავლი სამოქალაქო ისტორიას და გეოგრაფიას. საგნის უკეთ დაყენების მიზნით სისტემატურად ვმუშაობ თავისთავზე საგნისა და მისი გადაცემის ხერხების დაუფლებისათვის. ყოველდღიურად ვემზადები გაკვეთილისათვის, წინასწარ ვიმარაგებ სათანადო თვალსაჩინო მასალებს, დამხმარე ლიტერატურის დოკუმენტებს, ამონაწერებს დადგენილებებიდან და ბელადების შრომებიდან.

ვიძლევი პირობას მთელი ჩემი ენერგია, ცოდნა და გამოცდილება მოვახმარო სამშობლოსათვის თავდადებული პატრიოტების, ბოლშევიზმის, მეცნიერებას დაუფლებულ ახალი კადრების აღზრდის საქმეს.

**ოლია გურიელიძე**

**ლანჩხუთის საშუალო სკოლის მასწავლებელი**



სოციალიზმის ქვეყნის ნორჩი თაობა მხიარულად ატარებს დროს საბავშვო ბაღებში.
სურათზე: თბილისის მე-72 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები ცეკვავენ.



მხიარული და მოკისკასეა ბავშვთა ცხოვრება. ყოველდღეს მათთვის ახალი სიხარული და სიხალისე მოაქვს.
სურათზე: თბილისის მე-22 საბავშვო ბაღის ნორჩი აღსაზრდელები ასრულებენ ხორუმს ნაციონალურ ტანსაცმელში

**გრ. მაჭავარიანი**

## წარსულის დღიურიდან

1908 წელი იყო, პირველად რომ მასწავლებლობა დავიწყე გურიის ერთერთ ორკლასიან სასწავლებელში. პირველ ხანებში საქმე გამიძნელდა. მიჭირდა სკოლაში წესრიგის დამყარება; განსაკუთრებით მიძნელდებოდა რუსული ენის სწავლება: მძულდა წყეული „მუნჯური მეთოდი", რომლის საშუალებით ისწავლებოდა სკოლაში რუსული ენა.

ამ საგნის „პრაქტიკულად შესწავლისათვის" შემოღებული იყო ამ სკოლაში თუნუქის „მარკები", რომლებსაც აჩეჩებდნენ ხელში იმ მოსწავლეს, რომელიც ქართულად დაილაპარაკებდა, ვისაც ბოლოს ეს მარკა შერჩებოდა, ის უნდა დარჩენილიყო „ბეზაბედა" (უსადილოდ); ე. ი. სკოლაში რჩებოდა 2-3. საათს სწავლის დამთავრების შემდეგ.

ვერ შევურიგდი ამ „მარკებს" და მუნჯურ მეთოდს. ორივე, გავდევნე სკოლიდან, მაგრამ ამ ამბავმა მიაღწია ბათუმის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორ ტერ-გასპარიანამდე, რომელმაც სულ მალე ამომიღო ნიშანში. როგორც შემდეგ გამოირკვა, მან მისწერა თურმე ლანჩხუთის უბნის „პრისტავს", ედევნებია ჩემთვის თვალყური. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი არ მაკლებდა თავის „ყურადღებას": ხშირად მიბარებდა და მარიგებდა ჭკუას. მინერგავდა გულში სიყვარულს მეფისა და მაშინდელი წესწყობილებისადმი, მაგრამ თვითონვე ატყობდა რომ ეს იყო „მგლის თავზე სახარების კითხვა", „კედელზე ცერცვის შეყრა", მხოლოდ იმას კი მიაღწია, რომ ცოტა თმას გავუკეთე „ოპერაცია", ეს იმიტომ, რომ „პრისტავის" დასკვნით გრძელი თმა — ეს იყო სოციალისტობის ნიშანი.

⁂

მაშინ გურიაში საშინელი რეაქცია მძვინვარებდა. ალიხანოვის დამსჯელი ექსპედიცია ხან ერთს სოფელს აწიოკებდა, ხან მეორეს. რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა ტყეში იყო გახიზნული, როგორც სასწავლო უწყება, ისე პოლიცია განსაკუთრებულ თვალყურს ადევნებდა მასწავლებლობას. ვაი მისი ბრალი, ვისაც „კრამოლნიკობას" შეამჩნევდნენ: მისთვის ციხე და მათრახი გამზადებული იყო. მეც „არაკეთილსაიმედო" მასწავლებლად ვიყავი აღრიცხული სახალხო სკოლების ინსპექტორ რუსიფიკატორ ტერ-გასპარიანის მიერ.

მაისის საამური დილა იყო, რომ ეს ინსპექტორი ჩემი სკოლის კარებს მოადგა სარევიზიოდ.

— ეს თქვენ ხართ? მე ძალიან მინდოდა თქვენი პირადად ნახვა! — და გამომიშვირა ხელი თვალთმაქცმა გასპარიანმა.

ჯერ ჩემს ოთახში შემოვიდა და დაუწყო დათვალიერება მაგიდაზე ჟურნალ-გაზეთებს.

— ეს რა ჟურნალია?!

— ეს არის პედაგოგიური ჟურნალი „განათლება".

— „ჰო, ვიცი, არ მომწონს მე ეს ჟურნალი, არ გირჩევთ მის კითხვას. უკეთესია. რუსული პედაგოგიური ჟურნალები იკითხოთ!

— როგორ — არა, — ვღებულობ რუსულ ჟურნალსაც და მივუთითე ჟურნალ „სვობოდნოე ვოსპიტანიეზე".

— არც ეს ჟურნალი მომწონს; ისიც ისე რყვნის მასწავლებლებს, როგორც აი ეს თქვენი ჟურნალი „განათლება" — და ჟურნალის ნომერი სწავლა-განათლების ხელმძღვანელმა იატაკზე მაგრად დაასფერთხა.

მეწყინა, მით უმეტეს, რომ მე თვით ვიყავი ამ ჟურნალის მუდმივი თანამშრომელი. შემატყო ეს გასპარიანმა.

— ვეწყინათ, თუ? — შემეკითხა მეფის მოხელე ირონიულად — გეტყობათ არა ხართ უნიჭო ახალგაზრდა და გირჩევთ, ნუ დაიღუპავთ თავს სულელური იდეებით!— ცოტა ხნის პაუზის შემდეგ დამიწყო ჭკუის სწავლება.

— მე სრულიადაც არ მიმაჩნია სულელურ....

— ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო!— გამაწყვეტინა ხმა მრისხანე ინსპექტორმა, — წავიდეთ კლასში.

ამ დროს გაისმა დანჟღრეული ზარის ხმა, რომელიც სკოლის „სტოროჟმა" და თიამ ეკლესიას მოჰპარა.

შევედით კლასში. რევიზია ჩემთვის ახალი ხილი იყო. ვღელავდი, გული ბაგაბუგით ძგერდა.

ერთმა მოსწავლემ წაიკითხა სწავლის დაწყების ლოცვა. ტერგასპარიანმა ჯერ მაგრად გადაიწერა „პირჯვარი" და შემდეგ ციბრუტივით შემოტრიალდა და დაიღრიალა:

— რასა ჰგავს ეს, ნუ თუ მარტო „მეუფეო ზეცათაოს" მოყოლით უნდა იქნას დაწყებული სწავლა? ასეთ სკოლას რა ხეირი დაეყრება? მიტომ არის, რომ თქვენი საქმე უკუღმართად მიდის!...

— ჩვენ სკოლაში ასეთი „მოდაა" და სხვაგან არ ვიცი.

ჩემმა ასეთმა პასუხმა კიდევ უფრო გააცოფა ტერგასპარიანი.

— რას ნიშნავს სიტყვა „მოდა"? სად გაგონილა „მოდით" ღვთის სამსახური სწავლის დაწყების წინ. მაგრამ აქ დამნაშავეა „სმოტრიტელი", რომელსაც მე ვუჩვენებ თავის სეირს!

გამოჰკითხა უგულოდ ცოტა რამ მოწაფეებს; უფრო დაიწვა რუსული ენის გამოკითხვას და გიჟივით შევარდა „სმოტრიტელის" კლასში.

დაიწყო ყვირილი:

— შენ ეი, ტვინის ნაცვლად, გეტყობა თივა გაქვს თავში! რას ჰგავს ეს? სად გაგონილა სწავლის დაწყება საეკლესიო გალობისა და სახარების წაკითხვის გარეშე?!

იმ დღიდან შემოღებული იქნა ჩვენს სკოლაში სწავლის დაწყება ღვთისადმი ლოცვით, სახარების კითხვითა და გალობით, რაც თითქმის ერთს საათს გრძელდებოდა. ღვთის ლოცვა-ვედრებითვე მთავრდებოდა ყოველდღე სწავლა.

„რევიზიის" შემდეგ ერთი კვირაც არ გასულა, რომ მოვიდა სკოლაში ბრძანება „განთავისუფლების" შესახებ.

მწარედ დავღონდი. მივმართე ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს გრძელწვერა ლევ იაკობის-ძე სემიონოვს; ის ლიბერალ კაცად იყო ცნობილი. მაგრამ მაინც არ მომისმინა.

— შენ, გარეწარი ხარ თურმე, არაკეთილსაიმედო, გადი აქედან ახლავე!

მეც ვიკადრე გამოსვლა.

ბევრი ვეცადე თავის გამართლება და სამსახურში აღდგენა, მაგრამ, მაინც ვერ მოვახერხე.

ბოლოს მივმართე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას, რომელიც მფარველობდა მაშინ „არაკეთილსაიმედო" მასწავლებლებს. ამ საზოგადოების სასკოლო სექციის ხელმძღვანელი იყო მაშინ მხცოვანი პედაგოგი. ჟურნალ „განათლებას" რედაქტორი, განსვენებული ლუარსაბ ბოცვაძე, რომელმაც მეტად ალერსიანად და გულთბილად მიმიღო.

— ნუ შეშინდებით, ჩვენს სკოლაში დაგნიშნავთ მასწავლებლად! — დამაიმედა ლუარსაბმა.

წ.-კ. საზოგადოებას მაშინ სულ 5-6 ქართული სკოლა ჰქონდა, რომლებიც წესდების თანახმად სარგებლობდნენ განსაკუთრებული უფლებით: რუსული ენის სწავლება იწყებოდა არა პირველი წლიდანვე, როგორც ეს სხვა სკოლებში იყო მიღებული, არამედ მეორე წლიდან. მაგრამ ამ უფლებას ხშირად არღვევდნენ სწავლა-განათლების „ჭირისუფალნი".

⁂

მართლაც დამნიშნეს მასწავლებლად კავკავის ქართულ სკოლაში, რომელიც წამოჭიმული იყო, ქალაქის ცენტრში და საუკეთესოდ მოწყობილი, მაგრამ-აქაც ამითვალწუნა თერგის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორმა ვინმე ბელიაევმა რომელიც თუმცა პროფესიით ვეტერინარული ექიმი იყო, მაგრამ მაინც უხვად იყო დაჯილდოვებული „ჩინებით და ჯვარმედლებით" სწავლა-განათლების დარგში „მოღვაწეობისათვის".

ამ ობერჩინოვნიკს მეტად ძულდა ქართველები და ქართული ენა.

— მე ამ სკოლას სრულიად დავხურავ, თუ თქვენ, ამ სკოლის მასწავლებლებმა ქართველობაზე ხელი არ აიღეთ, — გამოგვიცხადა ერთხელ ამ უტიფარმა ჩინოვნიკმა.

იყო ასეთი შემთხვევაც: თერგის ოლქის ერთს სამოქალაქო სასწავლებელში საჭირო იყო მასწავლებელი, რის შესახებ განცხადებაც კი იყო გაზეთში მოთავსებული. ეს განცხადება წაიკითხა პლატონ ლეჟავას, რომელსაც ახლად დაემთავრებია თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი. მან დირექტორ ბელიაევს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც აცხადებდა თანხმობას მასწავლებლობაზე. ბელიაევმა დეპეშითვე მისცა თანხმობა და აცნობა ჩამოსულიყო კავკავში.

ერთს მშვენიერ დღეს მასწავლებელი პლატონ ლეჟავა მიადგა ბელიაევის კაბინეტის კარებს.

— თქვენ რა ეროვნების ხართ?—ეკითხება პ. ლეჟავას დირექტორი.

— ქართველი!

— ლეჟავა... ქართველი! მე თქვენ ჩვენი ქვეშევრდომი იტალიელი მეგონეთ, მე მეგონა ქართული გვარები ყველა „ძითა" და „შვილით" ბოლოვდებოდა!

— არა, ქართულ გვარებს სხვა დაბოლოვებაც აქვთ.

— სამწუხაროდ, ჩვენ ქართველებისათვის ადგილი არ გვაქვს. უპასუხა ტლანქად უტაქტო ჩინოვნიკმა ბელიაევმა ადგილის ძებნით გულ-შეწუხებულ პ. ლეჟავას.

ზღაპარი გგონია, როცა დღეს, ძლევამოსილ ოქტომბრის 20 წლისთავზე, იგონებ ძველ სკოლაში გამეფებულ აუტანელ რეჟიმს, მასწავლებლისა და ქართული ენის აბუჩად აგდების მსგავს ფაქტებს. ზიზღით იგონებ ძველი სკოლის წარსულს და გახარებს სტალინური მზით გასხივოსნებული, აღორძინებული სკოლა, სადაც ყველა საგანი ისწავლება მშობლიურ ენაზე, სადაც მასწავლებელი აღდგენილია თავის უფლებებში და არის იმ სიმაღლეზე, რომელზედაც ის არც ერთ ბურჟუაზიულ ქვეყანაში არ იმყოფება.

ოქტომბრის ტოლნი.

თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფრიადოსანი სტუდენტები



ა. ყუფარაძე, თ. შერვაშიძე, ი. ცინცაძე

**სარედაქციო კოლეგია**

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული 32552